

დადგენილება N008343

ჯარიმის სახით ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ

20 აგვისტო 2021 წ.

ქ. ყვარელი

1. დადგენილების გამომტანი ორგანო (თანამდებობის პირი): შ.პ.ს. „სოკარ ჯორჯია გაზის“ აღმოსავლეთის რეგიონული ოფისის იურისტი ნინო ლაზარიაშვილი
2. საქმის განხილვის თარიღი: 2021 წლის 20 აგვისტო 11:00 საათი.
3. ცნობები პირის შესახებ, რომლის მიმართაც განიხილება საქმე: ფიზიკური პირი: ჰამლეტ კალაევი, პ/ნ 28001014760; მცხოვრები: ქ. მარნეული, ნიზამის ქ. N 21 , აბონენტის ნომერი: 3101147229
4. საქმის განხილვისას დადგინდა შემდეგი გარემოებები: შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“- ის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ განსახილველად გადმომეცა ამავე საზოგადოების აღმოსავლეთის რეგიონული ოფისის მარნეულის სერვის ცენტრის ინჟინერმა აკაკი მახარაძის მიერ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის N008343 ოქმი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96¹ მუხლით განსაზღვრული ბუნებრივი გაზის უკანონო მოხმარების ფაქტზე, საქმეზე თანდართულია მრიცხველის დალუქვის აქტები. ოქმის შემდგენლის განმარტებით: აბონენტს გაზის მიწოდება შეწყვეტილი ჰქონდა დავალიანების გამო თუმცა ადგილი ჰქონდა აბონენტის მხრიდან გაზის მიწოდების თვითნებურად აღდგენის ფაქტს.

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს ეცნობა საქმის ზეპირი განხილვის შესახებ, თუმცა ჰამლეტ კალაევი არ გამოცხადდა ზეპირ განხილვაზე და რაიმე მიზეზის შესახებ არ უცნობებია. შესაბამისად საქმის განხილვის გადადების საფუძველი არ არსებობს რის გათვალისწინებითაც თანამდებობის პირი უფლებამოსილია განიხილოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე, ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის დასწრების გარეშე და მიიღოს გადაწყვეტილება.

5. ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ვიხელმძღვანელებ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96¹ მუხლის მეორე ნაწილით, 200, 228², 236-237, 266-268 მუხლებით, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2009 წლის 9 ივლისის #12 და 2010 წლის 12 აგვისტოს #14 დადგენილებებით და

და ვ ა დ გ ი ნ ე:

6. ფ/პ ჰამლეტ კალაევი პირადი № 28001014760 ცნობილ იქნას ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად და ადმინისტრაციული სახდელის სახით განესაზღვროს გაფრთხილება.
7. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით, იურიდიული პირისა და დაწესებულების დაჯარიმებას – 15000 ლარის ოდენობით.

8. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მხარისათვის მისი ჩაბარებიდან/საჯარო გამოცხადების გზით ჩაბარებულად ჩათვლიდან 10 დღის ვადაში საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში (მისამართი: ქ. თბილისი მიცკევიჩის ქ. №19).

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:



ნ.ლაზარიაშვილი